**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იოანე ანჩელი

იოანე ანჩელი, რ კ ი ნ ა ე ლ ი, XII–XIII სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი; ანჩის მთავარეპისკოპოსი, თამარ მეფის თანამედროვე.

მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ერთობ მწირია. ტბეთის სახარების (XII ს.) ანდერძში იგი არსენ ბერის (XI–XII სს.) ძმად იხსენიება; XII ს. ხატის (ანჩისხატის) წარწერიდან ირკვევა, რომ თამარ მეფის ბრძანებით ი. ა-მა ხატი მოაჭედინა ბექა ოპიზარს. ხატზე წარწერაა: „... მე, იოანე ანჩელმან, რკინაელმან, ჴელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედვად...“. ი. ა-ს ეკუთვნის აკროსტიქული საგალობელი "გალობანი ანჩისხატისანი" (კიდურწერილობა – „საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდოი იოვანე ანჩელი"), რ-იც გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1903.

*თხზ.*: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შემდგ. სოლ. ყუბანეიშვილი, [ტ.] 1, თბ., 1946.

*ლიტ.*: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ს უ ლ ა ვ ა ნ., XII–XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.

***ლ. ჯღამაია***